16.4.3. უზრუნველყოს, რომ შემსრულებლის მუდმივმა პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა თავის პერსონალს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი სანარდო სამუშაოების შრომის უსაფრთხოების რისკებისა და ეკოლოგიური ასპექტების მართვის საგანზე, დამკვეთის ტერიტორიაზე საზედამხედველო სამუშაოების წარმოებაზე, დამკვეთის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის, სახანძრო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საერთო წესებზე, და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის თაობაზე (აღნიშვნა პირველადი ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალში).

16.5 დამკვეთთან ერთად, წინასწარი თათბირის ეტაპზე (იხ. წინამდებარე მუხლის პუნქტი 16.1), დაადგინოს ნარჩენების დროული განთავსების პირობები.

16.6 შემსრულებელი ვალდებულია სახელშეკრულებო სამუშაოების წარმოების დროს:

16.6.1. სამუშაოებზე არ დაუშვას ის პერსონალი, რომელსაც არ გაუვლია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის პირველადი ინსტრუქტაჟი დამკვეთის შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის განყოფილებაში.

16.6.2. მკაცრად დაიცვას შემსრულებლის შიდა დოკუმენტების მოთხოვნები, რომლებიც განიხილება წინასწარი თათბირის ეტაპზე (იხ. წინამდებარე მუხლის პუნქტი 16.1).

16.6.3. გონივრული ეჭვის არსებობისას, დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს შემოწმება იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა ალკოჰოლურ სიმთვრალის მდგომარეობაში;

16.6.4. დაემორჩილოს დამკვეთის სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

16.4 Подрядчик обязан перед началом договорных работ выполнить следующие требования:

16.4.1. согласно внутреннему приказу, выделить постоянного ответственного представителя безопасности труда.

16.4.2. обеспечить, чтобы весь его персонал, в том числе ответственный руководитель / производитель работ, прошел вводный инструктаж в отделе безопасности труда, охраны здоровья и окружающей среды Заказчика.

16.4.3. обеспечить, что бы постоянный ответственный представитель Исполнителя проводил инструктажи для собственного персонала на предмет управления рисками по безопасности труда и экологическими аспектами подрядных работ, ведения поднадзорных работ на территории Заказчика, по общим правилам безопасности труда и здоровья, —пожарной безопасности и охраны окружающей среды на территориях Заказчика, и по оказанию первой помощи (отметка в своем журнале учета инструктажа).

16.5 совместно с Заказчиком, на этапе предварительного совещания (см пункт 16.1 настоящей статьи), определять условия временного размещения отходов.

16.6 Подрядчик, во время выполнения договорных обязательств, обязан:

16.6.1. не допускать к работам на объекте Заказчика тот персонал, который не прошел первичный инструктаж по безопасности труда и здоровья в отделе безопасности труда, охраны здоровья и окружающей среды Заказчика.

16.6.2. строго соблюдать требования соответствующих внутренних документов Заказчика, оговариваемых на этапе предварительного совещания (см пункт 16.1 настоящей статьи).

16.6.3. при наличии разумного сомнения, по требованию Заказчика, пройти проверку для установления того, находятся ли работники Заказчика в состоянии алкогольного опьянения;

16.6.4. подчиняться запретам на потребление табака в рабочем пространстве Заказчика.

17.1. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, მხარეები და მათი თანამშრომლები არ გადაიხდიან, არ შესთავაზებენ გადახდას ან არ აძლევენ უფლებას ნებისმიერ პირს გადაუხადონ რაიმე ფული ან ღირებული ნივთი, პირდაპირ ან ირიბად, ამ პირების ქმედებებზე ან გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით, რაიმე არასათანადო უპირატესობის ან სხვა არასათანადო მიზნების მისაღებად.

17.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, მხარეები და მათი თანამშრომლები არ განახორციელებენ ქმედებებს, რომლებიც ამ შეთანხმების მიზნებისთვის მოქმედი კანონმდებლობით კლასიფიცირდება, როგორც ქრთამის მიცემა/მიღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებები, რომლებიც არღვევს დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე თავს შეიკავებს მეორე მხარის თანამშრომლების ნებისმიერი გზით სტიმულირებისგან, მათ შორის ფულადი თანხების მიწოდებით, საჩუქრებით, მათთვის სამუშაოს (მომსახურების) უსასყიდლოდ შესრულებით და სხვა მეთოდებით, რომლებიც თანამშრომელს გარკვეულ დამოკიდებულებაში აყენებს და მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ეს თანამშრომელი განახორციელებს ნებისმიერ ქმედებას მისი სტიმულირების მხარის სასარგებლოდ.

17.4. თუ ერთ-ერთი მხარე ეჭვობს, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს ანტიკორუფციული პირობების დარღვევა, შესაბამისი მხარე იღებს ვალდებულებას, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

17.5. წერილობით შეტყობინებაში, მხარე ვალდებულია მიუთითოს ფაქტებზე ან მიაწოდოს მასალები, რომლებიც საიმედოდ ადასტურებენ ან იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს ამ პირობების ნებისმიერი დებულების დარღვევა მეორე მხარის ან მისი თანამშრომლების მიერ, რაც გამოიხატება ქმედებებში, რომლებიც კვალიფიცირდება მოქმედი კანონმდებლობით, როგორც ქრთამის მიცემა ან მიღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებებში, რომლებიც არღვევს მოქმედი

17.1. При исполнении своих обязательств по настоящему Договору, Стороны и их работники не выплачивают, не предлагают выплатить и не разрешают выплату каких-либо денежных средств или ценностей, прямо или косвенно, любым лицам, для оказания влияния на действия или решения этих лиц с целью получить какие-либо неправомерные преимущества или иные неправомерные цели.

17.2. При исполнении своих обязательств по настоящему Договору, Стороны и их работники не осуществляют действия, квалифицируемые применимым для целей настоящего Договора законодательством, как дача/получение взятки, коммерческий подкуп, а также действия, нарушающие требования применимого законодательства и международных актов о противодействии легализации (отмыванию) доходов, полученных преступным путем.

17.3. Каждая из Сторон настоящего Договора отказывается от стимулирования каким-либо образом работников другой Стороны, в том числе путем предоставления денежных сумм, подарков, безвозмездного выполнения в их адрес работ (услуг) и другими способами, ставящего работника в определенную зависимость, и направленными на обеспечение выполнения этим работником каких-либо действий в пользу стимулирующей его Стороны.

17.4. В случае возникновения у Стороны подозрений, что произошло или может произойти нарушение каких-либо антикоррупционных условий, соответствующая Сторона обязуется уведомить другую Сторону в письменной форме.

17.5. В письменном уведомлении Сторона обязана сослаться на факты или предоставить материалы, достоверно подтверждающие или дающие основание предполагать, что произошло или может произойти нарушение каких-либо положений настоящих условий контрагентом, его работниками, выражающееся в действиях, квалифицируемых применимым законодательством, как дача или получение взятки, коммерческий подкуп, а

კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

17.6. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები აღიარებენ კორუფციის პრევენციის პროცედურების განხორციელებას და აკონტროლებენ მათ დაცვას. ამავდროულად, მხარეები გონივრულ ძალისხმევას ახორციელებენ კორუფციულ საქმიანობაში ჩართულ მხარეებთან საქმიანი ურთიერთობების რისკის მინიმიზაციისთვის და ასევე ურთიერთდახმარებას უწევენ ერთმანეთს კორუფციის პრევენციის მიზნით.

17.7. მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ შესაბამისობის შემოწმების პროცედურების განხორციელება, რათა თავიდან აიცილონ მხარეების კორუფციულ საქმიანობაში მონაწილეობის რისკები.

17.8. შემსრულებელი იძლევა გარანტიას შემდეგი დათქმების შესრულებაზე, რომ:

17.8.1. (არის/არ არის) სახელმწიფოსთან დაკავშირებული სუბიექტი და (ჰყავს/არ ჰყავს) პოლიტიკურად აქტიური პირები, რომლებიც არიან მისი თანამდებობის პირები, თანამშრომლები ან პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დამკვეთს ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, როდესაც ნებისმიერი პოლიტიკურად აქტიური პირი ხდება შემსრულებლის თანამდებობის პირი ან თანამშრომელი ან იძენს მიმწოდებლის პირდაპირ ან არაპირდაპირ წილს;

17.8.2. შექმნილია ლეგიტიმური ბიზნეს საქმიანობის განხორციელების მიზნით და არა რაიმე უკანონო მიზნებისთვის და აქვს მხოლოდ დაფინანსების კანონიერი წყაროები;

17.8.3. შემსრულებელი და მისი შვილობილი კომპანიები არ არიან გასამართლებულნი ან დამნაშავედ ცნობილნი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებული რაიმე უკანონო ქმედებისთვის. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დამკვეთს, თუ შემსრულებელი ან მისი რომელიმე შვილობილი კომპანია გასამართლებულია ან დამნაშავედ ცნობილნი არიან ასეთი უკანონო ქმედების ჩადენაში.

17.8.4. შემსრულებელი ადასტურებს, რომ მან წაიკითხა დამკვეთის ბიზნეს ეთიკის კოდექსი და კომპანიის ანტიკორუფციული პოლიტიკა კომპანიის ოფიციალურ ვებსაიტზე.

также действиях, нарушающих требования применимого законодательства и международных актов о противодействии легализации доходов, полученных преступным путем.

17.6. Стороны настоящего Договора признают проведение процедур по предотвращению коррупции и контролируют их соблюдение. При этом Стороны прилагают разумные усилия, чтобы минимизировать риск деловых отношений с контрагентами, которые могут быть вовлечены в коррупционную деятельность, а также оказывают взаимное содействие друг другу в целях предотвращения коррупции.

17.7. Стороны обязуются обеспечить реализацию процедур по проведению комплаенс проверок в целях предотвращения рисков вовлечения Сторон в коррупционную деятельность.

17.8. Подрядчик соблюдает гарантии нижеследующих оговорок о том, что:

17.8.1. (является/не является) лицом, связанным с государством, и (имеет/не имеет) Политически значимых лиц, являющихся его должностными лицами, работниками либо прямыми или косвенными владельцами. Подрядчик обязуется незамедлительно информировать Заказчика в письменной форме обо всех случаях, когда какое-либо Политически значимое лицо станет должностным лицом или работником Подрядчика либо приобретет прямую или косвенную долю участия Подрядчика;

17.8.2. создан в целях осуществления легитимной хозяйственной деятельности, а не в каких-либо незаконных целях и имеет только законные источники финансирования;

17.8.3. Подрядчик и его Аффилированные лица не были осуждены за совершение или признаны виновными в совершении каких-либо противозаконных действий, связанных с мошенничеством или коррупцией. Подрядчик обязуется немедленно информировать Заказчика в письменной форме, если Подрядчик или какие-либо его Аффилированные лица будут осуждены за совершение или признаны виновными в совершении таких противоправных действий.

17.8.4. Подрядчик подтверждает, что он ознакомился с Кодексом деловой этики Заказчика и Политикой по противодействию коррупции Компании на официальном веб-

შემსრულებელი ადასტურებს, რომ სრულად ესმის დამკვეთის ბიზნეს ეთიკის კოდექსი და დამკვეთის ანტიკორუფციული პოლიტიკა.

17.8.5. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, კეთილსინდისიერად გაუწიოს დამკვეთს დახმარება და მხარდაჭერა ამ ანტიკორუფციული დათქმების მოთხოვნების ფაქტობრივი ან პოტენციური დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, ვალდებულია უზრუნველყოს მისი მფლობელების, დირექტორების, თანამდებობის პირების და სხვა შვილობილი კომპანიების გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობა.

17.8.6. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ანტიკორუფციული პუნქტის მოთხოვნების დარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ. მოთხოვნების დარღვევის შემთხვევების შესატყობინებლად, შემსრულებელი ვალდებულია გამოიყენოს „ცხელი ხაზი“, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დამკვეთის ოფიციალურ ვებსაიტზე.

18. სანქციების დათქმა

18.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ „შემსრულებლის“ გარანტიების საფუძველზე და მათზე კეთილსინდისიერად დაყრდნობით. „შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას, რომ:

ა) არც „შემსრულებელი“, არც მისი აფილირებული პირები და არც „შემსრულებლის“ ყველა აქციონერი არ შედის ევროკავშირის სანქციების სიაში და (ან) გაერთიანებული სამეფოს და (ან) SDN-ის სანქციების სიაში (Specially Designated Nationals and Blocked Persons List - სპეციალურად გამოყოფილი მოქალაქეების და დაბლოკილი პირების სია), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions - უცხოური საფინანსო ინსტიტუტების სია, რომელთათვის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ან წარმოება გამჭოლი გადახდით აკრძალულია ან ექვემდებარება ერთ ან რამოდენიმე მკაცრ პირობას), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List - სანქციების სია, რომელიც არ არის დაფუძნებული SDN-ზე), რომლის ადმინისტრირებას ასორციელებს აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველო (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury), ასევე ნებისმიერი სხვა სანქციების სია, რომელსაც გააჩნია ექსტერიტორიალური მოქმედება;

сайте Компании. Подрядчик удостоверяет, что он полностью понимает Кодекс деловой этики Заказчика и Политику по противодействию коррупции Заказчика.

17.8.5. Подрядчик обязуется добросовестно оказывать Заказчику помощь и содействие в случае действительного или возможного нарушения требований настоящей Антикоррупционной оговорки, в том числе обязуется обеспечивать возможность проведения опроса своих владельцев, директоров, должностных лиц и прочих Аффилированных лиц.

17.8.6. Подрядчик обязуется своевременно сообщать Заказчику обо всех случаях нарушения требований антикоррупционной оговорки, связанной с деятельностью Заказчика. Для сообщения о случаях нарушения требований Подрядчик обязан использовать «Горячую линию», информация о которой размещена на официальном веб-сайте Заказчика.

18. Санкционная оговорка

18.1. Стороны заключают настоящий Договор на основании гарантий Подрядчика и добросовестно полагаясь на таковые. Подрядчик гарантирует, что:

а) ни Поставщик, ни его аффилированные лица, ни все акционеры Подрядчика не включены в санкционный список Европейского союза, и (или) Великобритании, и (или) в санкционных списках SDN (Specially Designated Nationals and Blocked Persons List – список специально выделенных граждан и блокированных лиц), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions – список иностранных финансовых институтов, для которых открытие или ведение корреспондентского счета или счета со сквозной оплатой запрещено или подчиняется одному или нескольким строгим условиям), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List – список санкций, не основанный на SDN), администрируемый Управлением по контролю над иностранными активами Министерства финансов США (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury), а также любой иной санкционный список, имеющий экстерриториальное действие;

ბ) „შემსრულებლის“ მიერ „ხელშეკრულების“ დადება ან/და მისი შესრულება არ იწვევს ამ პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მითითებული სანქციების დარღვევას;

გ) იმ დღეს, როდესაც „შემსრულებელი“ ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულება და წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად მისი ფაქტიური შესრულების თარიღამდე - „შემსრულებლის“ ანგარიშები, მათ შორის საკუთარი და საკორესპონდენტო ანგარიშები, რომლებიც გამოიყენება ამ ხელშეკრულების თანახმად გადახდების განსახორციელებლად, განთავსებულია ბანკებში ან საფინანსო დაწესებულებებში, რომლებიც არ შედიან იმ პირთა, ჯგუფებისა და ორგანიზაციების კონსოლიდირებულ ჩამონათვალში, რომლებიც ევროკავშირის ფინანსური სანქციების ობიექტებს წარმოადგენენ და რომელთა მიმართაც მოქმედებს აქტივების გაყინვის რეჟიმი (Consolidated List of persons, groups and entities subject, under EU Sanctions, to an asset freeze and the prohibition to make funds and economic resources available to them), და (ან) გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების განხორციელების სამმართველოს ფინანსური სანქციების ობიექტების კრების ჩამონათვალში (Consolidated List of financial sanctions targets of the Office of Financial Sanctions Implementations in the UK), და (ან) SDN-ის სიებში (Specially Designated Nationals and Blocked Persons List - სპეციალურად გამოყოფილი მოქალაქეების და დაბლოკილი პირების სია) და CAPTA-ს სიაში (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions - უცხოური საფინანსო ინსტიტუტების სია, რომელთათვის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ან წარმოება გამჭოლი გადახდით აკრძალულია ან ექვემდებარება ერთ ან რამოდენიმე მკაცრ პირობას), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List - სანქციების სია, რომელიც არ არის დაფუძნებული SDN-ზე), რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველო (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury);

გ) პირ(ებ)ი, რომელიც ხელს აწერს წინამდებარე „ხელშეკრულებას“ „შემსრულებლის“ სახელით, არ შედის(ან) ევროკავშირისა და (ან) გაერთიანებული სამეფოს სანქციების სიაში და (ან) SDN-ის სიებში (Specially Designated Nationals and Blocked Persons List - სპეციალურად გამოყოფილი მოქალაქეების და დაბლოკილი პირების სია), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions - უცხოური საფინანსო ინსტიტუტების სია, რომელთათვის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ან

ბ) заключение Договора и/или его исполнение Подрядчиком не влечет нарушения санкций, указанных в подпункте (а) настоящего пункта;

в) в день, когда Подрядчик обязан исполнить соответствующее обязательство по Договору и до даты его фактического исполнения в соответствии с настоящим Договором – счета Подрядчика, в том числе собственные и корреспондентские, используемые для совершения платежей по данному Договору, находятся в банках или финансовых учреждениях, которые не включены в Сводный перечень лиц, групп и организаций, являющихся объектами финансовых санкций ЕС, в отношении которых действует режим заморозки активов (Consolidated List of persons, groups and entities subject, under EU Sanctions, to an asset freeze and the prohibition to make funds and economic resources available to them), и (или) Сводный список объектов финансовых санкций Управления по осуществлению финансовых санкций в Великобритании (Consolidated List of financial sanctions targets of the Office of Financial Sanctions Implementations in the UK), и (или) в списках SDN (Specially Designated Nationals and Blocked Persons List – список специально выделенных граждан и блокированных лиц), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions – список иностранных финансовых институтов, для которых открытие или ведение корреспондентского счета или счета со сквозной оплатой запрещено или подчиняется одному или нескольким строгим условиям), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List – список санкций, не основанный на SDN), администрируемый Управлением по контролю над иностранными активами Министерства финансов США (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury);

г) лицо(а), подписывающее(ие) настоящий Договор от имени Подрядчика, не включены в санкционный список Евро-пейского союза и (или) Великобритании, и (или) в списках SDN (Specially Designated Nationals and Blocked Persons List – список специально выделенных граждан и блокированных лиц), CAPTA (List of Foreign Financial Institutions Subject to Correspondent Account or Payable-Through Account Sanctions – список иностранных финансовых институтов, для которых открытие или ведение

წარმოება გამჭოლი გადახდით აკრძალულია ან ექვემდებარება ერთ ან რამდენიმე მკაცრ პირობას), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List - სანქციების სია, რომელიც არ არის დაფუძნებული SDN-ზე), რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველო (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury), ასევე ნებისმიერი სხვა სანქციების სია, რომელსაც გააჩნია ექსტერიტორიალური მოქმედება;

18.2. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ რომელიმე გარანტია აღმოჩნდება ყალბი, არასანდო და (ან) არაზუსტი, „შემსრულებელი“ ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ზარალი, რომელიც გამოწვეულია ან დაკავშირებულია „შემსრულებლის“ ასეთი გარანტიის არასანდოობასთან ან უზუსტობასთან, მეორე „მხარისგან“ მოთხოვნის მიღების დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამავდროულად, „დამკვეთს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“.

18.3. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ გაფორმების „თარიღის“ შემდეგ მიღებული იქნება რაიმე სახის ახალი „სანქციების აქტი“ ან რომელიმე მოქმედ „სანქციების აქტში“ შეტანილი იქნება ცვლილებები, ან შესაბამისი იურიდიულის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს ოფიციალური განმარტების ან გადაწყვეტილების საფუძველზე გაფართოვდება ან სხვაგვარად შეიცვლება მოქმედი „სანქციების აქტის“ გამოყენების სფერო („ახალი სანქციები“), და ასეთმა „ახალმა სანქციებმა“:

ა) „მხარის“ გონივრული და დასაბუთებული დასკვნით შესაძლოა შეუძლებელი გახადონ ან არსებითად გაუროთლონ მეორე „მხარეს“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და/ან
ბ) გამოიწვიოს ან შეიძლება გამოიწვიონ ასეთი „მხარისათვის“ დაფინანსების წყაროებთან ხანგრძლივი წვდომის მიღების შეუძლებლობა და/ან „მხარისათვის“ პირდაპირი და/ან ირიბი ზარალი (მათი გონივრული დასკვნით); და/ან

გ) გამოიწვიოს ან შეიძლება გამოიწვიონ დარღვევები, ან პროდუქციის/მომსახურების მიწოდების შეჩერება;

დ) გამოიწვევს რომელიმე „მხარის“ არსებით საკრედიტო ხელშეკრულებებში შემავალი რომელიმე „მხარის“ ვალდებულებების (შეთანხმებების) დარღვევას, რომელთა დაცვა შეუძლებელია ან არსებითად შეზღუდულია ახალი სანქციებით; და (ან)

ე) გამოიწვიოს ასეთი „მხარის“ საკრედიტო რეიტინგის დაქვეითება ან არსებობს ასეთი

კორესპონდენტского счета или счета со сквозной оплатой запрещено или подчиняется одному или нескольким строгим условиям), NS-MBS (Non-SDN Menu-Based Sanctions List – список санкций, не основанный на SDN), администрируемый Управлением по контролю над иностранными активами Министерства финансов США (Office of Foreign Assets Control of U.S. Department of the Treasury), а также любой иной санкционный список, имеющий экстерриториальное действие.

18.2. В случае, если какая-либо гарантия Подрядчика окажется ложной, недостоверной и (или) неточной, Подрядчик обязан возместить другой Стороне прямые и/или косвенные убытки, возникшие в результате или в связи с недостоверностью или неточностью такой гарантии Подрядчика, не позднее 10 (десяти) рабочих дней со дня получения требования другой Стороны. При этом, Заказчик вправе расторгнуть настоящий Договор в одностороннем порядке.

18.3. В случае, если после Даты заключения Договора будет принят какой-либо новый Санкционный Акт или будут внесены изменения в какой-либо действующий Санкционный Акт, или в силу официального разъяснения или решения компетентного государственного органа соответствующей юрисдикции расширится или иным образом изменится сфера применения действующего Санкционного Акта («Новые Санкции»), и такие Новые Санкции:

а) по разумному и обоснованному заключению Стороны могут сделать невозможным или существенно затруднить исполнение другой Стороной своих обязательств по настоящему Договору; и (или)

б) привели или могут привести к невозможности для такой Стороны получить продолжительный доступ к источникам финансирования и (или) прямым и/или косвенным убыткам для Стороны (по их разумному заключению); и (или)

в) повлекли либо могут повлечь нарушение, либо остановку поставок продукции/оказания услуг;

г) повлекут нарушения обязательств (контрактных) какой-либо из Сторон, содержащихся в существенных кредитных договорах какой-либо из Сторон, соблюдение которых невозможно или существенно затруднено Новыми Санкциями; и (или)

д) повлекли понижение кредитного рейтинга такой Стороны или существует вероятность

დაქვეითების ალბათობა, რაც დადასტურებულია შესაბამისი სარეიტინგო სააგენტოს მიერ წერილობითი ფორმით, (ერთად - „ახალი სანქციების შედეგები“), ასეთი „მხარე“ ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე „მხარეს“ ახალი სანქციების მიღების მომენტიდან 5 დღის განმავლობაში, (წინამდებარე მუხლში გათვალისწინებული ყოველი შეტყობინება, შემდგომში წოდებულია, როგორც - „შეტყობინება სანქციების შესახებ“) ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტების დართვით და ამ სანქციების მასზე ზემოქმედების შესახებ.

18.4. „სანქციების შესახებ შეტყობინების“ წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა, „მხარეები“ გამართავენ შეხვედრა(ებს)/მოლაპარაკებებს, რათა კეთილსინდისიერად განიხილონ და შეთანხმდნენ თავიანთ პოზიციებზე „მხარეების“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ახალი სანქციების პოტენციურ ზეგავლენასთან მიმართებით, აგრეთვე „ახალი სანქციების“ ასეთი ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილებისა ან შესაძლო შემცირების შესაძლო კანონიერი და გონივრული ზომების შესახებ, წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის, შესაბამისი იურისდიქციის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსგან ნებართვების/ლიცენზიების მიღების ჩათვლით („კეთილსინდისიერი მოლაპარაკებები“).

18.5. „მხარეების“ მიერ კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების შედეგებზე ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღებისას, „მხარეები“ შეეცდებიან გონივრული ძალისხმევით განახორციელონ მათ მიერ შეთანხმებული ზომების რეალიზაცია 5 დღის განმავლობაში, ან მათ მიერ შეთანხმებულ სხვა ვადაში, შესაძლოა რეალიზებული იქნეს ზომები, რათა გამოირიცხოს „ახალი სანქციების“ დარღვევა ან მათი შესასრულებლად გამოყენება წინამდებარე ხელშეკრულების „მხარეების“ მიერ.

18.6. თუ „მხარეები“ ვერ მიაღწევენ შეთანხმებას „კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების“ პირველი დღის ჩატარების შემდეგ [10] დღის გასვლისას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუგზავნოს „მხარეს“, რომლის მიმართაც გამოიყენება ან რომლის მიმართაც წარმოიშვა „ახალი სანქციები“, რომლებმაც გამოიწვიეს „ახალი სანქციების შედეგები“ („აკრძალული მხარე“), შეტყობინება შეთანხმების მიუღწევლობის შესახებ („შეტყობინება შეთანხმების მიუღწევლობის შესახებ“). „შეთანხმების მიუღწევლობის შესახებ“ შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, „მხარეს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ და მოითხოვოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული პირდაპირი და/ან ირიბი ზარალისთვის.

такого понижения, подтвержденная в письменной форме соответствующим рейтинговым агентством, (вместе – «Последствия Новых Санкций»), такая Сторона обязуется незамедлительно письменно уведомить об этом другую Сторону в течение 5 дней с момента принятия Новых санкций, (каждое уведомление, предусмотренное в настоящей статье, далее именуется «Уведомление о Санкциях») с приложением официально подтверждающих документов и о влиянии этих санкций на него.

18.4. Не позднее 5 дней со дня представления Уведомления о Санкциях, Стороны проведут встречу(и)/переговоры для добросовестного обсуждения и согласования своих позиций в отношении потенциального эффекта Новых Санкций на исполнение Сторонами своих обязательств по настоящему договору, а также о возможных законных и разумных мерах по предотвращению или возможному снижению такого негативного влияния Новых Санкций, включая внесение изменений в настоящий Договор, получение разрешений/лицензий от компетентного государственного органа соответствующей юрисдикции («Добросовестные переговоры»).

18.5. При достижении Сторонами по результатам проведенных Добросовестных переговоров взаимно приемлемого решения, Стороны предпримут разумные усилия для реализации согласованных ими мер в течение 5 дней, либо в течение иного согласованного ими срока, могут быть реализованы меры, позволяющие исключить нарушение Новых Санкций или их применение к исполнению Сторонами настоящего Договора.

18.6. При недостижении Сторонами согласия по истечении [10] после проведения первого дня Добросовестных переговоров, любая Сторона имеет право в любое время направить Стороне, к которой применяются или в отношении которой возникли Новые Санкции, приведшие к Последствиям Новых Санкций («Запрещенная Сторона») уведомление о недостижении согласия («Уведомление о недостижении согласия»). В случае направления такого Уведомления о не достижении согласия, Сторона вправе расторгнуть Договор в одностороннем порядке и требовать возмещения понесенных прямых и/или косвенных убытков.

მუხლი 19

სხვა პირობები

19.1 მხარეთა შორის ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც წარმოშობს ახალ ვალდებულებებსა და უფლებებს და არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით, მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, როგორც ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება. ხელშეკრულებაში მითითებული ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

19.2 მხარეთა შორის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

19.3 შემსრულებელი იფარავს დამკვეთს ყველანაირი სარჩელისა და მუშაობის პროცესში მესამე პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრეტენზიისაგან.

19.4 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე, გადასცეს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებები და მოვალეობები მესამე მხარეს.

19.5 რომელიმე მხარის იურიდიული მისამართისა და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, ეს მხარე ვალდებულია შეცვლის მომენტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს ეს ცვლილება მეორე მხარეს.

19.6 ყველა შეტყობინებას (ცნობას) ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები აგზავნიან ფაქსით, ტელექსით, ტელეგრაფით, შეკვეთილი წერილით ან კურიერის საშუალებით. ასეთი გზავნილის მიღების დასტურად ჩაითვლება კავშირგაბმულობის ელექტრონული საშუალების აღნიშვნა, კავშირგაბმულობის განყოფილების აღნიშვნა მოცემული შეტყობინების მიღების შესახებ ან მიმღები მხარის აღნიშვნა შეტყობინების მიღების შესახებ, კურიერის მიერ გადაცემის შემთხვევაში.

19.7 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

19.8 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რუსულ და ქართულ ენებზე, თითოეული მხარისათვის თითო ეგზემპლარი. ენებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.

მუხლი 20

მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი:

შპს “ბათუმის ნავთობტერმინალი”

Статья 19

Прочие условия

19.1 Любая договоренность между Сторонами, влекущая за собой новые обязательства и права, не предусмотренные Договором, должна быть оформлена Сторонами в письменной форме в виде дополнительного соглашения к Договору. Все указанные в Договоре приложения являются его неотъемлемой частью.

19.2 Взаимоотношения Сторон, не урегулированные Договором, регулируются законодательством Грузии.

19.3 Подрядчик ограждает Заказчика от исков и претензий на возмещение ущерба, понесенного третьими лицами в результате работ.

19.4 Ни одна из Сторон не имеет права передавать свои права и обязанности по Договору третьим лицам, без письменного согласия на то другой Стороны.

19.5 В случае изменения юридического адреса и других реквизитов какой-либо Стороны, она обязана в течение 5 (пяти) рабочих дней с момента таких изменений, письменно уведомить об этом другую Сторону.

19.6 Все уведомления (сообщения) в рамках Договора Стороны направляют по факсу, телексу, телеграфу, заказным письмом или курьерской почтой. Подтверждением направления такого уведомления будет являться отметка электронного средства связи, отметка отделения связи о принятии данного уведомления или отметка Стороны-получателя о получении данного уведомления, когда оно направляется с курьером.

19.7 Договор вступает в силу со дня подписания Сторонами и действует до полного исполнения Сторонами своих обязательств.

19.8 Договор составлен в 2-х экземплярах на грузинском и русском языках, имеющих одинаковую юридическую силу, по одному экземпляру для каждой из Сторон. В случае возникновения разногласий в языках, привилегия отдается варианту, составленному на грузинском языке.

Статья 20

Юридические адреса, банковские реквизиты и подписи Сторон

ЗАКАЗЧИК:

ООО «Батумский нефтяной терминал»

г. Батуми, 6000, Грузия,

ქ.ბათუმი, 6000, საქართველო,
წმ.სევერიან აჭარელის ქ. N4გ
საიდენტიფიკაციო კოდი 245432544
სს "ხალიკ ბანკი საქართველო"
SWIFT: HABGGE22
ა/ა GE75HB0000000000103608

(სახელი, გვარი)
გენერალური დირექტორი

შემსრულებელი:
შპს „_____“
(კომპანიის რეკვიზიტები)

(სახელი, გვარი)
დირექტორი

ул. Святого Севериана Аджарели №4г
идентификационный код 245432544
АО „Halyk Bank Georgia“
SWIFT: HABGGE22
p/c GE75HB0000000000103608

(имя, фамилия)
Генеральный директор

ПОДРЯДЧИК:
ООО «_____»
(реквизиты компании)

(имя, фамилия)
Директор

_____ წლის _____ № _____ ხელშეკრულების დანართი №1

Приложение №1 к Договору № _____ от _____ г.

ხარჯთაღრიცხვა / Сметный расчет

№	სამუშაოს დასახელება / Наименование работ	განზ-ის ერთ-ი / Единица измерения	რაო-ბა / Кол-во	ერთ-ის ფასი / Цена ед-цы	ჯამი / Сумма
1					
2					
	სულ / Всего:				

დამკვეთი:
შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

ЗАКАЗЧИК:
ООО «Батумский нефтяной терминал»

(სახელი, გვარი)
გენერალური დირექტორი

(имя, фамилия)
Генеральный директор

მიმწოდებელი:
შპს „_____“

ПОСТАВЩИК:
ООО «_____»

(სახელი, გვარი)
დირექტორი

(имя, фамилия)
Директор